



სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის

დებულება

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

- 1.1 შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში „სდასუ“) მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოადგენს სდასუ-ს საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში განხორციელებული ერთსაფეხურიანი, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების და დიპლომშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) – რეზიდენტურის პროგრამების მეშვეობით უზრუნველყოფს მედიცინისა და სტომატოლოგიის დარგში თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი მედიკოსების, სამეცნიერო და აკადემიური კადრის მომზადებას დიპლომირებული მედიკოსის, დიპლომირებული სტომატოლოგის და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;
- 1.2 სკოლა საქმიანობას ახორციელებს აკადემიური ავტონომიურობის პრინციპზე დაყრდნობით და ანგარიშვალდებულია სდასუ-ს დამფუძნებელთა, რექტორისა და აკადემიური საბჭოს წინაშე;
- 1.3 სკოლა მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების, დეკლარაციებისა და კონვენციების, აგრეთვე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სდასუ-ს დებულებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე;
- 1.4 სკოლა არ არის იურიდიული პირი;
- 1.5 სკოლას აქვს საკუთარი ბეჭედი;
- 1.6 სკოლის იურიდიული მისამართი და ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N 25.

## **მუხლი 2. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის ძირითადი მიზნები**

- 2.1 სკოლის ძირითადი მიზნებია:
- ა) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, ხარისხიანი და შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება მედიცინისა და სტომატოლოგიის სპეციალობით დაინტერესებული პირებისათვის;
  - ბ) მუდმივად პროგრესირებად საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი სამედიცინო განათლების უზრუნველყოფა;
  - გ) ქართულ და უცხოურენოვანი პროგრამების შემუშავება;
  - დ) ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისი შინაარსის და სტრუქტურის კურიკულუმის შემუშავება და განხორციელება;
  - ე) დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამების განხორციელება;
  - ვ) სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა;
  - ზ) ეროვნულ და საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
  - თ) მედიცინის/სტომატოლოგიის დარგის განვითარებისთვის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის, დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების პროპაგანდა;
  - ი) აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური, სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა.
  - კ) სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის უმაღლესი განათლების სივრცეში მობილობის ხელშეწყობა;

## **მუხლი 3. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის ამოცანები**

- 3.1 სკოლის ამოცანებია:
- ა) მედიცინის/სტომატოლოგიის დარგში მაღალკვალიფიციურ და კონკურენტუნარიანი კადრების

- მომზადება, რომლებიც შეძლებენ თავისი კვალიფიკაციის ეფექტურად გამოყენებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;
- ბ) მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვის ღონისძიებების გატარება;
- გ) ქართულ და უცხოურენოვანი პროგრამების განხორციელება და განვითარება;
- დ) მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
- ე) კვლევების განხორციელების უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა;
- ვ) სტუდენტთა შორის მედიცინის/სტომატოლოგიის დარგში უახლესი მიღწევების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- ზ) პერსონალის ინიციატივების/პროექტების მხარდაჭერა;
- თ) სკოლის სტუდენტთა ინიციატივების/პროექტების მხარდაჭერა;
- ი) სკოლის სტუდენტთა ევროპელ მედიკოსს სტუდენტთა ასოციაციაში გაწევრიანების ხელშეწყობა;
- კ) ჯანდაცვითი, გარემოსდაცვითი, სოციალური აქტივობების განხორციელება საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით;
- ლ) სკოლის ცნობადობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;
- მ) ეთიკისა და ქცევის ნორმების გაცნობა და მათი დაცვის წახალისება.

#### **მუხლი 4. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის მართვის ორგანოები და სტრუქტურა**

- 4.1 სკოლის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია) სკოლის საბჭო და დეკანი;
- 4.2 სკოლა, მართვის ორგანოების გარდა, შედგება სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკური სტრუქტურული ერთეულების: ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების ქართულ-ინგლისური სტომატოლოგიური ინსტიტუტის, ვირტუალური ლაბორატორიების მულტიმედია ცენტრის ინოვაციური ცენტრის და პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრისაგან, რომლებიც სდასუ-ს რექტორის ბრძანებით სკოლის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე იქმნება სწავლისა და კვლევისათვის ადეკვატური, ხელსაყრელი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.

#### **მუხლი 5. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის საბჭო**

- 5.1 სდასუ-ს მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის საბჭო (შემდგომში „სკოლის საბჭო“) სკოლის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს სკოლის მართვას.

#### **მუხლი 6. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის საბჭოს შემადგენლობა**

- 6.1 სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედის მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა შეადგენს სკოლის აკადემიური პერსონალის ერთ მეოთხედს. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური პერსონალის რიცხვი 4-ის ჯერადი არ არის, სკოლის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობის განსაზღვრისას დამრგვალება მოხდება სტუდენტების სასარგებლოდ.
- 6.2 სკოლის აკადემიური პერსონალის წევრად ითვლება სდასუ-ს მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პირი.
- 6.3 სკოლის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების არჩევის წესი განისაზღვრება სდასუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

#### **მუხლი 7. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის საბჭოს უფლებამოსილება**

- 7.1 სკოლის საბჭო:
- ა) განსაზღვრავს მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის საქმიანობის ძირითად მიზნებს, მიმდინარე ამოცანებსა და საქმიანობის პრიორიტეტებს;
- ბ) შეიმუშავებს წინადადებებს სკოლის აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით და წარუდგენს

სდასუ-ს რექტორს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და სდასუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას, საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო-კვლევით პროექტებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს სდასუ-ს აკადემიურ საბჭოს;

ე) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს სკოლის საბჭოს, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) დეკანის წარდგინებით სკოლის აკადემიური პერსონალიდან ღია კენჭისყრით ირჩევს სკოლის საბჭოს მდივანს;

ზ) ისმენს დეკანის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, არაუგვიანეს ერთი თვისა ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან, ან საჭიროებისამებრ, ნებისმიერ დროს, სკოლის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/2-ის მოთხოვნით;

თ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ან აღიარებულ მეცნიერს სდასუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მისანიჭებლად.

7.2 სკოლის საბჭო ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და სდასუ-ს დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

## **მუხლი 8. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის საბჭოს მდივანი**

8.1 სკოლის საბჭოს მდივანი, რომლის არჩევა ხდება სკოლის საბჭოს პირველ სხდომაზე, ახორციელებს საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და საქმისწარმოებას.

8.2 სკოლის საბჭოს მდივანი:

ა) უზრუნველყოფს სკოლის საბჭოს სახელზე შემოსული წერილებისა და დოკუმენტების აღრიცხვა-შენახვას;

ბ) ამზადებს წერილებს და საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტებს;

გ) ამზადებს სკოლის საბჭოს სხდომებს;

დ) უზრუნველყოფს დოკუმენტების გამრავლებას;

ე) აწარმოებს სკოლის საბჭოს არქივს.

## **მუხლი 9. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა**

9.1 სკოლის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) სდასუ-ს აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას;

ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შედეგად.

9.2 სკოლის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სკოლის საბჭოს წევრი ხდება ის სტუდენტი, რომელმაც არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობა აირჩევს ახალ წარმომადგენელს უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

## **მუხლი 10. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება**

10.1 სკოლის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება:

ა) ერთ თვეზე მეტი ხნით სასწავლო ან სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას;

ბ) ერთ თვეზე მეტი ხნით ავადმყოფობის ან შვებულებაში გასვლის შემთხვევაში;

გ) სხვა გარემოების არსებობისას, რაც შეუძლებელს ხდის მის მონაწილეობას საბჭოს სხდომებში.  
10.2 სკოლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის საბჭო ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

### **მუხლი 11. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის საბჭოს სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი**

11.1 სკოლის საბჭოს პირველი სხდომა იმართება სკოლის აკადემიური პერსონალის ახალი შემადგენლობისა და სტუდენტური წარმომადგენლების არჩევიდან არაუგვიანეს 14 სამუშაო დღისა.

11.2 სკოლის საბჭო პირველ სხდომაზე ცნობს თავის უფლებამოსილებას და ირჩევს მდივანს.

11.3 სკოლის საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ.

11.4 სკოლის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს სკოლის დეკანი (მისი არყოფნის შემთხვევაში – საბჭოს ერთ-ერთი წევრი სკოლის დეკანის წინასწარი გადაწყვეტილებით).

11.5<sup>1</sup> სხვა, დაინტერესებულ პირებს უფლება აქვს დაესწროს სკოლის საბჭოს სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.

11.5<sup>2</sup> სხვა, დაინტერესებულ პირთა მხრიდან სკოლის საბჭოს სხდომაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, მათი დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის საბჭო.

11.6 სკოლის საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებუნარიანია, თუ მასში მონაწილეობს სკოლის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

11.7 სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

11.8 სკოლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში ამ მუხლის მე-11.6 და მე-11.7 პუნქტებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა იანგარიშება სკოლის საბჭოს სიით შემადგენლობას გამოკლებული იმ წევრთა რიცხვი, რომელთაც შეჩერებული აქვთ უფლებამოსილება.

11.9 სკოლის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ფარული კენჭისყრის ჩატარების საკითხს წინასწარ წყვეტს დეკანი.

### **მუხლი 12. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის საბჭოს სხდომის ოქმი**

12.1 სკოლის საბჭოს წევრთა შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სკოლის დეკანი (მისი არყოფნის შემთხვევაში – საბჭოს ერთ-ერთი წევრი სკოლის დეკანის წინასწარი გადაწყვეტილებით) და სკოლის საბჭოს მდივანი.

12.2 სკოლის საბჭოს სხდომების ოქმები ინახება სკოლის დეკანის მიერ არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგ გადაეცემა სდასუ-ს არქივს.

### **მუხლი 13. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დეკანი**

13.1 სდასუ-ს მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის ადმინისტრაციული ხელმძღვანელია მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დეკანი (შემდგომში: „სკოლის დეკანი“), რომელიც თავმჯდომარეობს სკოლის საბჭოს სხდომებს და წარმართავს სკოლის მიმდინარე საქმიანობას.

13.2 სკოლის დეკანს, საბჭოსთან შეთანხმებით, ნიშნავს სდასუ-ს რექტორი.

13.3 დეკანად შეიძლება დაინიშნოს მედიცინის, ან რელევანტური დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

### **მუხლი 14. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დეკანის უფლებამოსილება**

14.1 სკოლის დეკანი:

ა) ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვრავს სკოლის მიმდინარე საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ანგარიშვალდებულია სკოლის

საბჭოსა და აკადემიური საბჭოს წინაშე;

ბ) წარმოადგენს სკოლას და სკოლის საბჭოს სდასუ-ს აკადემიური საბჭოს და სდასუ-ს რექტორის, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კომპანიების, აგრეთვე, ხელისუფლების ადგილობრივი და უმაღლესი ორგანოების წინაშე;

გ) თავმჯდომარეობს სკოლის საბჭოს სხდომებს;

დ) შეიმუშავებს და სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სკოლის სტრუქტურასა და დებულებას;

ე) შეიმუშავებს და სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სკოლის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს;

ვ) სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

ზ) კოორდინაციას უწევს სკოლაში მიმდინარე სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს;

თ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლაში მიმდინარე სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების თაობაზე;

ი) უზრუნველყოფს სკოლაში სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია სდასუ-ს აკადემიური საბჭოს, აგრეთვე სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

ლ) წარმართავს ურთიერთობებს პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;

მ) განსაზღვრავს სკოლის საკომუნიკაციო პოლიტიკას;

ნ) წარმართავს და ახორციელებს ურთიერთობებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, პასუხისმგებელია სკოლის იმიჯზე, შიდა და გარე კომუნიკაციებზე;

ო) ორგანიზებას უწევს და წარმართავს სასკოლო, მათ შორის, საპრეზენტაციო ღონისძიებებს;

პ) განიხილავს და პასუხობს სკოლის საბჭოში შემოსულ განცხადებებს, პრეტენზიებსა და საჩივრებს;

ჟ) ახორციელებს სკოლაში განცხადებით შემოსულ პირთა მიღებას;

რ) მეთვალყურეობს და ზედამხედველობს სკოლაში დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებასა და სდასუ-ს შინაგანაწესის დაცვას;

ს) უშუალოდ ხელმძღვანელობს სკოლის ტექნიკური პერსონალის საქმიანობას;

ტ) ისმენს სკოლის სტრუქტურული დანაყოფებისა და/ან ცალკეული დასაქმებულების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ და ახდენს მათ შეფასებას;

უ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიმართავს რექტორს წინადადებით დასაქმებულთა წახალისებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

ფ) პასუხისმგებელია სკოლისათვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

14.2 ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე სდასუ-ს დებულებითა და შინაგანაწესით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს და საქმიანობას, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება სკოლის საბჭოს მიზნებს.

## **მუხლი 15. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტა**

15.1 სკოლის დეკანს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) უფლებამოსილების 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში განუხორციელებლობის შემთხვევაში.

გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში.

15.2 სკოლის საბჭო უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების და/ან დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მიმართოს რექტორს დეკანის

უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

**მუხლი 16. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დეკანის მოადგილე**

16.1 სკოლის დეკანის მოადგილეს, დეკანის წარდგინებით, ნიშნავს სდასუ-ს რექტორი.

16.2 დეკანის მოადგილე მოქმედებს დეკანის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

**მუხლი 17. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სადისერტაციო საბჭო**

17.1 სკოლის სადისერტაციო საბჭო (შემდგომში: „სადისერტაციო საბჭო“) არის მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

17.2 სკოლის სადისერტაციო საბჭოს დაკომპლექტების, მისი თავმჯდომარის არჩევისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება სკოლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, სდასუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

17.3 სკოლის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სკოლის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნენ მედიცინის ან რელიგენტური დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე გარეშე პირები.

17.4 სდასუ უფლებამოსილია, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

**მუხლი 18. მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა**

18.1 მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - 300 კრედიტს. სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლება არის ინტეგრირებული და თავისი შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნა და გამოიმუშავებული უნარ-ჩვევები უფლებას მისცემს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ან გაიაროს რეზიდენტურის (დიპლომშემდგომი განათლების - პროფესიული მზადების) კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

**მუხლი 19. მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი**

19.1 მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება ენიჭება სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიღებული ქულების კოეფიციენტით რანჟირების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

19.2 საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება სდასუ-ს პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის საფუძველზე.

**მუხლი 20. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დოქტორანტურაში სწავლის უფლება**

20.1 დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს დიპლომირებულ მედიკოსს/დიპლომირებულ სტომატოლოგს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

20.2 დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს აგრეთვე უცხოეთის უნივერსიტეტის იმ კურსდამთავრებულს, რომელიც აკმაყოფილებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნებს.

**მუხლი 21. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დოქტორანტურაში მიღება**

21.1 დოქტორანტურაში პირი ჩაირიცხება სადოქტორო პროგრამაზე, ან საკვლევ სადოქტორო თემების მიხედვით ჩატარებული საკონკურსო შერჩევის საფუძველზე. სადოქტორო პროგრამა ან საკვლევ თემები განთავსდება სდასუ-ს ვებ-გვერდზე არანაკლებ 3 კვირით ადრე კონკურსის ჩატარებამდე.

21.2 დოქტორანტობის კანდიდატმა სდასუ-ს რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს განცხადება. განცხადებას თან ერთვის:

ა) განმცხადებლის რეზიუმე (CV);

ბ) სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის საწარმოო წესით დამოწმებული ასლი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;

დ) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა და სადისერტაციო თემის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;

ე) განმცხადებლის წერილობითი დასტური იმისა, რომ არ ირიცხება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში.

21.3 სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოს შერჩეული თემის აქტუალურობა, სიახლე და მნიშვნელობა.

21.4 დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობაა დოქტორანტობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში გამარჯვება. კონკურსი ორი ეტაპისგან შედგება: პირველ ეტაპზე შესაბამისი სერტიფიკატის არარსებობის შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატი გამოცდას ჩააბარებს უცხოურ ენაში (საჭიროების შემთხვევაში – ქართულ ენაშიც), სდასუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილ კომისიასთან. კონკურსის მეორე ეტაპზე დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გაივლის/გამოცდას ჩააბარებს სადისერტაციო საბჭოს წევრებისგან სდასუ-ს რექტორის ბრძანებით (მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე) შექმნილ დარგობრივ კომისიასთან.

21.5 დოქტორანტობის კანდიდატი წერილობითი სახით წარმოადგენს საკუთარ ხედვას კონცეფციას საკვლევ თემაში/წინასწარ შერჩეულ სადისერტაციო თემაში დანახული პრობლემების გადაჭრის გზების, კვლევის პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების და სავარაუდო შედეგების შესახებ.

21.6 პირი დოქტორანტურაში ჩაირიცხება თუ ის წარმატებით ჩაბარებს გამოცდას/გასაუბრებას ან გამოცდებს და მიიღებს დადებით შეფასებას. გამოცდას/გასაუბრებას ან გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, სკოლის დეკანის წარდგინებით, პირი დოქტორანტურაში ჩაირიცხება სდასუ-ს რექტორის ბრძანებით.

21.7 ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

## **მუხლი 22. ექიმთა დიპლომის შემდგომი განათლების ქართულ-ინგლისური სტომატოლოგიური ინსტიტუტი**

22.1 ექიმთა დიპლომის შემდგომი განათლების ქართულ-ინგლისური სტომატოლოგიური ინსტიტუტის მიზანია მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (პრაქტიკული/კურაციული მეცადინეობების), რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების, დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ცალკეული მოდულების კლინიკის ბაზით უზრუნველყოფა.

22.2 ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (პრაქტიკული/კურაციული მეცადინეობების) განხორციელება;

ბ) რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელება;



- გ) დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ცალკეული მოდულების განხორციელება;
- დ) კლინიკის ბაზაზე უწყვეტი სამედიცინო განათლების შესაბამისი პროგრამების და ტრენინგების განხორციელება;
- ე) სასწავლო-მეთოდოლოგიური სამუშაოების წარმოების პროცესში ქვეყანაში აღიარებული პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისი სამედიცინო (სტომატოლოგიური) მომსახურების განხორციელება.

**მუხლი 23. პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრი**

- 23.1 პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრი უზრუნველყოფს პერსონალისა და სტუდენტთა პირველად სამედიცინო მომსახურებას.
- 23.2 პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრს ემსახურება უნივერსიტეტის ექიმი.
- 23.3 პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრის ექიმის ფუნქციებია:
- ა) უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა საჭიროების შემთხვევაში;
  - ბ) სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება საჭიროების შემთხვევაში;
  - გ) სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება საჭიროების შემთხვევაში;
  - დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემა სტუდენტის სასწავლო პროცესიდან გათავისუფლების მიზნით;
  - ე) პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო რესურსის შესაძენად წერილობითი მოთხოვნის წარდგენა რექტორთან;
  - ვ) პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებთან დაკავშირებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

**მუხლი 24. ვირტუალური ლაბორატორიების მულტიდისციპლინური ინოვაციური ცენტრი**

- 24.1 ვირტუალური ლაბორატორიების მულტიდისციპლინური ინოვაციური ცენტრი ფუნქციონირებს სდასუ-ს მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის ბაზაზე „ტემპუსი“-ს პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის დაფინანსებით, ვესტმინსტერის უნივერსიტეტის თანამონაწილეობით.
- 24.2 ვირტუალური ლაბორატორიების მულტიდისციპლინური ინოვაციური ცენტრი სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა სასწავლო კურსში ჩატარდეს ექსპერიმენტი რეალური ლაბორატორიის გარეშე.

**მუხლი 25. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დებულების შემუშავება და ძალაში შესვლა**

- 25.1 სკოლის დებულებას დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს სკოლის საბჭო და ამტკიცებს სდასუ-ს აკადემიური საბჭო.
- 25.2 სკოლის დებულება ძალაში შედის სდასუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე, რაც დასტურდება რექტორის ხელმოწერით.
- 25.3 სკოლის წინამდებარე დებულების ამოქმედების დღიდან ყოველგვარი ცვლილება-დამატებები მასში ძალაში შევა სკოლის დეკანის წარდგინებით სკოლის საბჭოს მიერ შემუშავებული და ცვლილება-დამატებების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისა და რექტორის ხელმოწერის შემდეგ.